პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
22 აპრილი
1944 წ.
№ 82 (7026)
ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

შეჯიბრების ძალა მის მასობრიობაშია. „პრავდის“ 21 აპრილის მოწინავე (1-ლი გვერდი).

ლენინი ჩვენი გამარჯვებაა (მე-2 გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 21 აპრილის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა (1-ლი გვერდი).

კ. ნიკოლაევა. ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობა 1944 წელს (მე-2 გვერდი).

ა. მალიბაშევი. მთებში (1-ლი გვერდი).

ამერიკის პრესა წითელი არმიის გამარჯვებათა შესახებ (1-ლი გვერდი).

ბადოლიომ იტალიის ახალი მთავრობა ჩამოაყალიბა (1-ლი გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-2 გვერდი).

შეჯიბრების ძალა მის მასობრიობაშია

ერთ თვეზე ნაკლები ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მოსკოვის დაზგათმშენებლებმა გამოაქვეყნეს თავიანთი პატრიოტული მოწოდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ, მაგრამ ამ მოკლე ვადის განმავლობაშიც შეჯიბრება პირველი მაისის აღსანიშნავად მძაფრად გაიზარდა და საბჭოთა ხალხის საყოველთაო შრომითს ურთიერთგამოძახებად იქცა.

საპირველმაისო შეჯიბრება მოედო მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა დარგს. ყოველ დარგში მიმდინარეობს ბრძოლა პირველობისათვის, გარდამავალ წითელ დროშათა მოპოვებისათვის. ახლდება დონბასის მეშახტეთა და კრივოროჟიეს მაღაროელთა, დონბასის მეშახტეთა და ბაქოს ნავთის მუშაკთა ტრადიციული შეჯიბრება. მტრის მიერ დანგრეული მეურნეობის უსწრაფესი აღორძინებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში ებმება გერმანელთა უღლისაგან განთავისუფლებული მილიონობით საბჭოთა ადამიანი.

მაისისწინა დღეებში შეჯიბრებაში ებმება საკოლმეურნეო სოფელიც. კალინინის ოლქის კრასნი ხოლმის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „კრასნი პუტილოვეცის“ კოლმეურნეებმა მიმართეს საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნეს, ტრაქტორისტსა და აგრონომს და მოუწოდეს მოაწყონ სრულიად-საკავშირო შეჯიბრება ოხვი მოსავლისათვის ბრძოლაში და სანიმუშოდ ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა.

შეჯიბრება საბჭოთა ადამიანების საკუთარი, მშობლიური საქმე, საბჭოთა საზოგადოების განუყრელი თვისება გახდა.

ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას, სოციალისტური შეჯიბრების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, ამ შეჯიბრების ძირითად ძალად მუდამ მიაჩნდა **მასობრიობა.** სოციალისტური შეჯიბრება მასების ბოლშევიკური აზრდის დიადი სკოლაა. შეჯიბრება ამაღლებს ადამიანის შრომას. იგი სოციალისტურ შეგნებულობას უნერგავს მუშა ადამიანს; იგი აღვიძებს შემოქმედებითს აზრს, ავითარებს ინიციატივას, გამოავლინებს მრავალ ნიჭს. იგი ჩამორჩენილებში იწვევს მისწრაფებას — დაეწიონ მოწინავეებს, რათა მიღწეულ იქნას საერთო აღმავლობა. იგი აერთიანებს და მჭიდროდ რაზმავს საბჭოთა ადამიანებს სიძნელეთა გადასალახავად. იგი იმის საშუალებას არ აძლევს ადამიანებს, რომ ერთ ადგილას გაიყინონ, დაკმაყოფილდნენ მიღწეულით და მუდამ მოუწოდებს მათ წინსვლისაკენ. როცა შეჯიბრების იდეა მასებს დაიპყრობს, იგი უდიდესი და დაუძლეველი ძალა ხდება.

და ამჟამად, როცა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფესვები გაიდგა ჩვენი ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში, როცა შეჯიბრებაში მილიონობით საბჭოთა ადამიანი იღებს მონაწილეობას, ჩვენი პარტია დაუფლავად მოგვიწოდებს იმისაკენ, რომ შეჯიბრება მასობრივი გახდეს. ამოცანა ის არის, რომ ნამდვილად **ყველა** მშრომელი იღებდეს მონაწილეობას შეჯიბრებაში. ამოცანა ის არის, რომ ფართოდ გავრცელდეს შეჯიბრების საქმეში ყველა მშრომელთა ჩაბმის ის ფორმები, რომლებიც ყველაზე უფრო შემოწმებულია ცხოვრების მიერ.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მასალას მოლოტოვის სახელობის გორკის საავტომობილო ქარხნის და მოსკოვის დაზგათმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ მუშათა შეჯიბრების შესახებ. ამ მასალაში ნაჩვენებია მუშათა ცოცხალი ინდივიდუალური შეჯიბრება, შეჯიბრება პროფესიათა მიხედვით. გორკის საავტომობილო ქარხანაში ასეთ შეჯიბრებაში 10 ათასკაცზე მეტი იღებს მონაწილეობას. გამარჯვებულთ ეძლევათ ქარხნის საუკეთესო მუშის სპატიო წოდება. ჟიროვის სატახკო ქარხანაში გაჩაღებულია შეჯიბრება სამამულო ომის დღეებში საუკეთესო ოსტატის წოდების მოსაპოვებლად. მოსკოვსახლო ქვანახშირის ბასეინში მ უყობილია შეჯიბრება საუკეთესო მნგრეველის, შებიგისა და შემანქანის წოდების მისაღებად. ადამიანები მთელი თავიანთი ძალით ეჯიბრებიან ერთმანეთს, მაღალ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ, და აღწევენ კიდეც ამ ვალდებულებათა შესრულებას.

რას უნდა ვაკეთებდეთ იმისათვის, რომ ასეთ შეჯიბრებას საყოველთაო წარმატება ჰქონდეს?

ამისათვის უნდა ვცდილობდეთ, რომ მთლიანად საწარმოთა კოლექტივების მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებთან ერთად ყოველ მუშაკს თავისი პირადი, **ინდივიდუალური** შეჯიბრებაც ჰქონდეს. შემდეგ ამისათვის საჭიროა, რომ შეჯიბრება **საჯარო** იყოს.

ბოლოს, ამისათვის საჭიროა, რომ შეჯიბრების მოწინავენი **წავახალისოთ** მთელი კოლექტივის წინაშე.

ფართო საჯაროობა, მუშაობის შედეგთა შესადარისობა და გამარჯვებულთა წახალისება საწარმოთა შორის სრულიად-საკავშირო შეჯიბრების საფუძველი გახდა. პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო და სახალხო კომისარიატები ყოველთვიურად აჯამებენ შეჯიბრების შედეგებს და აქვეყნებენ მათ. გამარჯვებულთ ეძლევათ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სახალხო კომისარიატთა საპატიო გარდამავალი დროშები, აგრეთვე ფულადი პრემიები. საჯაროობა, მუშაობის შედეგთა შესადარისობა და გამარჯვებულთა წახალისება უნდა წარმოადგენდნენ საკალდებულო პრინციპებს, რომელთა დაუცავადაც წარმოუდგენელია შეჯიბრების წარმატება საწარმოს **შიგნითაც,** საამქროს **შიგნით.** გორკის საავტომობილო ქარხნის სამჭედლოში ყოველდღიურად აქვეყნებენ ცალკეულ მუშაკთა შეჯიბრების შედეგებს. ეს ახალისებს ჩამორჩენილთ. ეს მოწინავეებს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ თვითდამშვიდებას მიეცნენ. ასე უნდა იყოს ყველა საწარმოში!

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს XII პლენუმმა მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ საწარმოებში შემოღებულ იქნას „საპატიო დაფები“, „საპატიო წიგნები“ და რომ საუკეთესო მუშებს „საპატიო სიგელები“ ეძლეოდეთ. ეს დიდი სტიმულია საწარმოთა შიგნით შეჯიბრების განვითარებისათვის. ყოველი ადამიანისთვის სასიამოვნოა საპატიო სიგელის მიღება სამამულო ომის დღეებში გაწეული თავისი დიდი შრომისათვის. „საპატიო დაფები“ საყოველთაოდ ცნობილს გახდიან შეჯიბრების მოწინავეთა სახელს. მათ გაჰკვეთიან, მათ მიბაძავენ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმის გადაწყვეტილება მოკლე ვადაში განხორციელდეს ყველა საწარმოში და რომ საპირველმაისო შეჯიბრების მოწინავეებს მათ მიერ დამსახურებული პატივი სცენ!

სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაჩაღება დიდი პარტიული საქმეა. სცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ შეჯიბრებაში მოწყობა, საჯაროობის, მოწინავეთა წახალისების უზრუნველყოფა მხოლოდ პროფკავშირთა მოვალეობაა. პარტიული კომიტეტები საწარმოებში მუდამ უნდა წარმართავდნენ შეჯიბრებას, უნდა აღწევდნენ იმაზე, რომ პროფკავშირის მუშაკები უფრო ოპერატიული იყვნენ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმის დადგენილებათა შესრულებაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყველა კომუნისტი და კომკავშირელი აუცილებლად იღებდეს მონაწილეობას შეჯიბრებაში, რომ კომუნისტები შეჯიბრების ნამდვილი წინამძღოლნი, წამომწყებნი და მოთავენი იყვნენ.

პირველი მაისი ახლოვდება. დადგა საპირველმაისო შეჯიბრების გადამწყვეტი დღეები. დაე დღეს ყოველმა საწარმომ და შეჯიბრების ყოველმა მონაწილემ შეამოწმოს თავისი თავი, თუ როგორ ასრულებს სოციალისტურ ვალდებულებებს: როგორ სრულდება გეგმა, როგორ უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი და კლებულობს მისი თვითღირებულება, როგორ ხდება საბრძოლო ტექნიკის ახალ საშუალებათა ათვისება. რაშიც ჩამორჩენაა—ანაზღაურებულ უნდა იქნას. რაც მიღწეულია—დამკვიდრდეს. რაც დაპირებულია — გაკეთდეს.

პირველი მაისის აღსანიშნავად ახალ-ახალი საწარმოო მიღწევით, სოციალისტურ შეჯიბრებაში სახელოვანი წარმატებებით დავეხმაროთ წითელ არმიას იმაში, რომ ახალ-ახალი გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს მტერს!

„პრავდის“ 21 აპრილის მოწინავე

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

გუშინ, 21 აპრილს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ნ. მ. შვერნიკმა ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების სიგელთან ერთად გადაეცა ამხ. მ. ი. კალინინს, რომელიც დაჯილდოებულია საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე მოღვაწეობის 25 წლისთავის დღეს საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

დამსწრეებმა მიხეილ ივანეს-ძეს გულთბილი ოვაცია მოუწყეს.

ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების სიგელთან ერთად გადაეცათ დნეპრის გადალახვის გმირებს, აგრეთვე საბრძოლო გმირობისათვის დაჯილდოებულთ.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის ჯილდოებს იღებს წითელი არმიის ოფიცერთა ჯგუფი. ორდენები და მედლები გადაეცა მეცნიერების მოღვაწეთა ჯგუფს — რომლებიც დაჯილდოებული არიან ქიმიური მეცნიერების განვითარების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, და სხვა დაჯილდოებულთ.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ ამხ. ნ. მ. შვერნიკმა გულთბილად მიულოცა უმაღლესი ჯილდოს მიღება ამხ. მ. ი. კალინინს და ყველა დაჯილდოებულს.

— საპასუხისგებლო პოსტზე ოცდახუთი წლის განუწყვეტელი შრომა, — თქვა ამხ. შვერნიკმა, მიმართა რა მიხეილ ივანეს-ძეს,— თქვენ შესწირეთ საბჭოთა წყობილების ურყევი ძლიერების შექმნას, წყობილებისა, რომლის სიმტკიცე განსაკუთრებით ახლა, სამამულო ომის პერიოდში, დასტურდება ჩვენი მამაცი წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებებით გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე.

— ლენინ-სტალინის პარტიისადმი თქვენი ერთგულებით, მშრომელთა უფართოეს მასებთან უმჭიდროესი კავშირით, თქვენი სიბრძნითა და გულითადი უბრალოებით, სახელმწიფოს მტრებთან თქვენი შეურიგებლობით თქვენ მოიპოვეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა.

ამხ. ნ. მ. შვერნიკმა უსურვა მიხეილ ივანეს-ძეს ძალა და ჯანმრთელობა შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და ჩვენი სამშობლოს ასაყვავებლად. დაჯილდოებულნი თავიანთ ჭურვალე, მქუხარე ტაშს უერთებენ ამ სურვილს.

დასასრულ ამხ. შვერნიკმა ყველა დაჯილდოებულს უსურვა ახალი წარმატებანი და მიღწევები საბჭოთა ხალხის საერთო საქმეში— გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა სრული განადგურებისა და საბჭოთა მიწ-წყლიდან მათი საბოლოოდ განდევნის საქმეში. (საკდეს-).

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

1944 წლის 21 აპრილს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. თ. სტურუამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთა ჯგუფს.

ორდენები და მედლები მიიღო საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეთა, კოლმეურნე ქალთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა ჯგუფმა, რომლებიც დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში.

ლენინის ორდენი გადაეცა ამხ. ვ. ი. ტოგონიძეს.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცათ ამხანაგებს ა. ლ. გაბუნიას, ს. ვ. საყვარელიძეს, კ. დ. კვარაცხელიას.

„საპატიო ნიშნის“ ორდენი გადაეცათ ამხანაგებს ვ. ა. არაბიძეს, პ. ე. ბაქრაძეს, პ. ბ. მიქაძეს, შ. დ. პატარიძეს, ი. ლ. ტყეშელაშვილს, შ. ვ. ხიდაშელს, ი. ნ. ცნობილაძეს, ი. ი. შონიას და ა. გ. კაპანაძეს.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ გადაეცა 14 კაცს.

მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ მიიღო 12 კაცმა.

საფეიქრო მრეწველობის დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 22 იანვრის ბრძანებულებით დაჯილდოებულთ მიიღეს:

„საპატიო ნიშნის“ ორდენი—ვ. ე. მონიავამ.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის“—პ. ს. ჯანელიძემ.

ამხ. გ. თ. სტურუამ ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ დაჯილდოებულთ მოკლე სიტყვით მიმართა.

გულთბილად მიულოცა რა დაჯილდოებულთ, მან გამოსთქვა რწმენა, რომ მიღებული ჯილდო აღაფრთოვანებს მათ ახალი წარმატებებისათვის მუშაობაში.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ი. ტოგონიძემ. (საქდეს).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

21 აპრილის ოპერატიული ცნობა

21 აპრილის განმავლობაში ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს. ჩვენი ნაწილების ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 69 ტანკი. მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 1.500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

20 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 59 ტანკი, სამაერო. ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 69 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა ფიქალსახდელი ქარხნები ესტონეთში

20 აპრილს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ დაბომბა ფიქალსახდელი ქარხნები რაკინიგზის სადგურ კოტლასთან და დაბა კურტნა-ლაგერთან (ესტონეთის სს რესპუბლიკა). დაბომბვის შედეგად ქარხნების ტერიტორიაზე მრავალი ხანძარი გაჩნდა, რასაც თან ახლდა აფეთქებანი. განსაკუთრებით ძლიერი აფეთქებანი ხდებოდა ფიქალსახდელ ქარხანაში დაბა კურტნა-ლაგერთან.

ხანძრებს ჩვენი მფრინავები ხედავდნენ 80 კილომეტრის მანძილიდან.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავიანთ აეროდრომებზე დაბრუნდა.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს. ღამის სიბნელის საფარქვეშ გერმანელები ცდილობდნენ ჩვენი ჯარებისათვის ზურგიდან მოვლენთ, მაგრამ აუცდებელ იქნენ მათთვის დიდი ზარალის მიყენებით. დილით მოწინააღმდეგემ დამხმარე ძალა მიიღო, შეტევაზე გადმოიყვანა ქვეითი ჯარის, ტანკებისა და თვითმავალ ქვემეხთა დიდი ძალები. გაჩაღდა გაფთრებული ბრძოლა, რაც არაერთხელ გადადიოდა ხელჩართულ შეტაკებაში. ერთ უბანზე საბჭოთა ქვეითებმა და არტილერისტებმა მოიგერიეს მტრის შვიდი კონტრიერიში, ამასთან მოსპეს ერთ ბატალიონამდე პიტლერელი, 16 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 4 ჯავშნიანი მანქანა და 5 ჯავშანტრანსპორტიორი. სხვა რაიონში გმირულად იბრძოდნენ ჩვენი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის მებრძოლები და ოფიცრები. მათ ცეცხლის გრიგალი დაატეხეს თავზე მოწინააღმდეგის შეჯგუფებულ ჯარებს. იგერიებდნენ რა ჰიტლერელთა იერიშებს, საბჭოთა არტილერისტებმა დააზიანეს და დასწვეს გერმანელთა 52 ტანკი. ამით ჩაიშალა მოწინააღმდეგის ცდა—ტანკების დიდი ძალებით გაერღვია ჩვენი თავდაცვა. გერმანელთა ქვეითი ჯარი, რომელიც ტანკებს მოჰყვებოდა უკან, მიწაზე იქნა გაკრული, დიდი ზარალი განიცადა და უკან გაბრუნდა წინანდელ პოზიციებზე.

მოიგერიშე მფრინავები გვარდიის პოდპოლკოვნიკ კოვშიკოვის მეთაურობით ცალკე წყვილებად მოქმედებდნენ, რიგულ მეტეოროლოგიურ პირობებში ურტყამდნენ მოწინააღმდეგის სარკინიგზო კომუნიკაციებს და ჯარებს. საბჭოთა მფრინავებმა მოსპეს გერმანელთა რამდენიმე ტანკი, 20 ავტომანქანა, 2 ორთქლმავალი, 25 ვაგონი და ააფეთქეს საომარი მასალების ორი საწყობი.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის ავიაციამ ბომბები დააყარა მოწინააღმდეგის გემების ქარავანს და ჩაესმარა ტრანსპორტი 2.000 ტონა წყალწყვისა, ორი მოტორიანი კაბანო და ერთი საგუშაგო კატერი.

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის მფრინავებმა ჩასძირეს ფინეთის ყურეში მოწინააღმდეგის ტრალერი და საგუშაგო კატერი.

* * *

ლვოვის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ერთი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაგადო გერმანელთა სამი სამხედრო ეშელონი, რომლებიც ფრონტის ხაზისკენ მიდიოდნენ. მარცხის შედეგად მოსპობილია 2 ტანკი, 2 ქვემეხი და მოკლულია ასზე მეტი ჰიტლერელი. მოლდავეთ პარტიზანთა ჯგუფმა ააფეთქა დიდი ხიდი გზატეხილის მნიშვნელოვან უბანზე. აფეთქებული ხიდის მახლობლად შეჯგუფდა მოწინააღმდეგის ბევრი ავტომანქანა. პარტიზანებმა ტანკსაწინააღმდეგო თოფების ცეცხლით მწყობრიდან გამოიყვანეს რამდენიმე მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანა.

* * *

ტარნოპოლში ტყვედ არის წამოყვანილი გერმანელი პოდპოლკოვნიკი ჰენრიხ კაიზერგრი — ტარნოპოლის გარნიზონის უფროს გენერალ-მაიორ ნეიდორფის ადიუტანტი. ტყვე პოდპოლკოვნიკმა განაცხადა: „გენერალი ნეიდორფი ტარნოპოლში მარტის შუა რიცხვებში ჩამოვიდა და შესცვალა სმიგროს ყოფილი კომენდანტი გენერალი კიტელი. ნეიდორფმა მიიღო ჰიტლერისაგან კატეგორიული ბრძანება — არ დაეთმო ქალაქი, რადაც უნდა დასჯდომოდა. რუსი ჯარებს მიერ გარშემორტყმულ ტარნოპოლიდან ჩვენ არაერთხელ გავუგზავნეთ ჰიტლერს რადიოგრამები, რომლებითაც დაჟინებით მოვითხოვდით დამხმარე ძალების გამოგზავნას; ერთ რადიოგრამაში ნეიდორფმა აცნობა იმ მძიმე ზარალის შესახებ, რაც ბრძოლებში განიცადეთ და დაახასიათა გერმანელთა გარნიზონის მდგომარეობა, როგორც სრულიად უიმედო. ს

ლენინი ჩვენი გამარჯვებაა

(ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ნარკვევი. 1944 წ. გვ. 332)

ოქტომბრის უდიდესი გენიოსის ვლადიმერ ილიას-ძე **ლენინის** დაბადების 74 წლისთავზე საქართველოს მშრომელებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის პოლიტიკურმა სექტორმა ქართულ ენაზე გამოსცა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ შედგენილი მოკლე ნარკვევი ბოლშევიზმისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის — ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

დიდი ლენინის მეცნიერულად დამუშავებული ბიოგრაფიის ქართულ ენაზე გამოცემა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ხალხის იდეურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ამ ნაშრომში თანმიმდევრულად არის გადმოცემული ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა, რაც „გადაჯაჭვულია დიადი და გმირული ბოლშევიკური პარტიის მუშაობასთან, რომლის შემქმნელიც იგი იყო“. („მოკლე ნარკვევი“. გვერდი 327).

წიგნში გაშუქებულია ვითარება, რომელშიც ლენინი აღიზარდა, მისი ბავშვობისა და ყრმობის ხანა, ნაჩვენებია ლენინის პირველი ნაბიჯები პოლიტიკურ ასპარეზზე, ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყისი. შემდეგ წიგნი მოგვითხრობს იმ გრანდიოზულ მუშაობაზე, რაც წლების მანძილზე გასწია დიდმა ლენინმა ახალი ტიპის პარტიის შესაქმნელად, მისი იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლების დასამუშავებლად. ჩვენ ვეცნობით ლენინის უდიდეს მუშაობას 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, რეაქციის წლებში, მუშათა მოძრაობის აღმავლობისა და პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში, მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დაწყების წლებში.

წიგნში დახასიათებულია გენიალური ლენინის ძირითადი თეორიული ნაშრომები, რომელთაც განსაზღვრეს სოციალისტური მშენებლობის გზები და საშუალებები ჩვენს ქვეყანაში. „ლენინმა გაამავლა მარქსიზმის იდეური სიმდიდრე ახალი ეპოქის გამოცდილების საფუძველზე. ლენინმა შემდგომ განვითარა მარქსიზმი, ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ის“. (გვ. 329).

ლენინის მთელ გიგანტურ დაძაბულ შემოქმედებითს მუშაობაში მუდამ ჩაფიფოდ მოსჩანს გენიალური ადამიანის დაუცხრომელი ბრძოლა ოქტომბრიობის უკეთესი მომავლისათვის, ყოველგვარი ჩაგვრისა და დამცირების მოსპობისათვის, მსჯელობა კეთილდღეობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ლენინმა ყოველმხრივ დაამუშავა და გაუშქა სოციალისტური სამშობლოს დაცვის ძირითადი პრინციპები. ლენინი გვასწავლის, რომ ქვეყნის თავდაცვისათვის აუცილებელია ძლიერი არმია და მაგარი ზურგი. ომში გაიმარჯვებს ის, ვისი პოლიტიკაც სწორია, ვისაც მეტი რეზერვები, ძალების მეტი წყაროები გააჩნია, ვისაც მხარს უჭერენ ხალხის ფართო მასები.

1918 წლ. მარტში ლენინი სწერდა:

„ომის ნამდვილად საწარმოებლად აუცილებელია მტაციცედ ორგანიზებული ზურგი. საუკეთესო არმიას, რევოლუციის საქმის უერთგულეს ადამიანებს დაუყოვნებლივ გაანადგურებს მტერი, თუ ისინი საკმარისად შეიარაღებული, სურსათით მომარაგებულნი, გაწრთვნილნი არ იქნებიან“. (ლენინი, ტ. XXII გვერდი 347.—რუსული გამოცემა).

საბჭოთა სახელმწიფოს თავისი არსებობის პირველსავე პერიოდში მოუხდა ქვეყნის დაცვა გერმანიის იმპერიალიზმისაგან, რომელიც შემოიჭრა იმ მიზნით, რომ დაემხო საბჭოთა ხელისუფლება და გერმანელი მძარცველების კოლონიად გადაექცია ჩვენი საშობლო. ლენინმა და სტალინმა მოაწყეს ჩვენი ქვეყნის მტაციც თავდაცვა. 1918 წლის 21 თებერვალს ლენინი გამოვიდა მოწოდებით— „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია“. „რუსეთის მუშათა და გლეხთა წმიდათა-წმიდა მოვალეობაა,—მოუწოდებდა ლენინი,—საბჭოების რესპუბლიკის თავდადებული დაცვა ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური გერმანიის ურდოების წინააღმდეგ“ („მოკლე ნარკვევი“, გვერდი 229)

ახორციელებდა რა ლენინის მოწოდებას, საბჭოთა ხალხი ჰქმნიდა და ბრძოლაში აბამდა ახალი რევოლუციური არმიის გმირულ რაზმებს, რომლებმაც გამანადგურებლად დაარტყეს და უკუაგდეს კაიზერის იმპერიალისტური არმია ფსკოვთან და ნარვასთან. გერმანიის იმპერიალიზმის ჯარების უკუგდების დღე—23 თებერვალი—გახდა წითელი არმიის დაბადების დღედ.

ლენინი თავის „წერილში ამერიკელი მუშებისადმი“ სამარცხვინო ბოძზე აკრავს გერმანელ ოკუპანტებს, როგორც საზიზღარ მძარცველებს და მოძალადეებს. „გერმანელმა ავაზაკებმა თავისი სამხედრო მზეცური ანგარიშის გასწორებით რეკორდი დამყარეს“— სწერდა ლენინი.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინისა და სტალინის მეთაურობით საბჭოთა ხალხმა, სახელოვანმა წითელმა არმიამ უცხოეთის იმპერიალიზმის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში გმირულად დაიცვეს ჩვენი სოციალისტური სამშობლო, დაამარცხეს ინტერვენტთა და რუსეთის თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის შეერთებული ძალები და მოიპოვეს ხანგრძლივი მშვიდობიანობა.

საბჭოთა სახელმწიფო მშვიდობიანი მშენებლობის წლებში საეკეთესო ფორმა აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ორგანიზაციისათვის. ამ აღმავლობის საფუძველი ახალი ეკონომიური პოლიტიკა გახდა. ლენინი იყო ავტორი ახალი ეკონომიური პოლიტიკისა. „ახალი ეკონომიური პოლიტიკის ლენინური გეგმის ამოცანა იყო სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგება მუშათა და გლეხთა ძალებით“. („მოკლე ნარკვევი“, გვერდი 292).

ლენინის საქმის გენიალური განმგრძობის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხის გმირული შრომით სოციალიზმი აშენებულ იქნა. საბჭოთა საზოგადოება ემყარება მუშების, გლეხობისა და ინტელიგენციის მეგობრულ თანამშრომლობას. ამ საფუძველზე განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მოპოვებულმა მიღწევებმა ჩვენი სამშობლო უძლეველ სიმაგრედ გახადეს.

ლაპარაკობდა რა საბჭოთა წყობილების სიმტკიცეზე, ამხანაგმა სტალინმა პარტიის მეთერთმეტე ყრილობაზე განაცხადა:

„ეს, სხვათა შორის, იმას ნიშნავს, რომ ომის შემთხვევაში ჩვენი არმიის ზურგი და ფრონტი, მათი ერთგვაროვნობისა და შინაგანი ერთიანობის გამო, — უფრო მტკიცე იქნება, ვიდრე ყოველ სხვა ქვეყანაში, რაც საჭიროა ახსოვდეთ სამხედრო შეტაკებათა საზღვარგარეთელ მოყვარულთ“.

ჰიტლერელმა ავანტიურისტებმა, რომელთაც დაიგიწყეს ეს გაფრთხილება და ავადაკურად დაესხნენ თავს ჩვენს სამშობლოს, ანალა თავიანთ ბინძურ ტაყვიზე გამოცადეს შემმუსვრელი ძალა საბჭოთა ქვეყნისა. სამამულო ომმა საქვეყნოდ ცხადჰყო, რომ ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი საბჭოთა წყობილება საუკეთესო ფორმა აღმოჩნდა ომიანობის დროს მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად ხალხის მთელი ძალების მობილიზაციისა.

„საბჭოთა სახელმწიფო არასოდეს არა ყოფილა ისე მტკიცე და ურყევი, როგორიც არის ახლა, სამამულო ომის მესამე წელს“. (ი. სტალინი).

ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ნარკვევი მოგვითხრობს ლენინისა და სტალინის დიადი მეგობრობის შესახებ, დაწყებული გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ლენინი და სტალინი ერთად ჰქმნიდნენ და აწრთობდნენ ბოლშევიკურ პარტიას. ლენინმა და სტალინმა მიიყვანეს ჩვენი ხალხი გამარჯვებამდე.

თუ გვინდა წარმატებას მივაღწიოთ მუშაობაში, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — უნდა „მოვეთათბიროთ“ ხოლმე ლენინს, მივმართოთ ხოლმე მას დიდი და მცირე საკითხების გადაწყვეტის დროს. „გახსოვდეთ, გიყვარდეთ, ისწავლეთ ლენინი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი“, — მოგვიწოდებს ამხანაგი სტალინი. ლენინი საბჭოთა ხალხის გამარჯვების დროშაა. „ლენინის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის გამარჯვებანი ბრძოლის ყველა ფრონტზე — სამხედრო, სამეურნეო, დიპლომატიურ, კულტურულ ფრონტებზე“ („მოკლე ნარკვევი“, გვერდი 330).

ლენინის დიადი იდეები, მისი გრანდიოზული საქმეები ცოცხლობენ საბჭოთა ხალხის თავდადებულ მუშაობაში, სახელოვანი წითელი არმიის გმირულ ბრძოლებში. ლენინის იდეებმა ცოცხალი განსახიერება ჰპოვეს სსრ კავშირის სახით, ბოლშევიკების გმირული პარტიის სახით. ლენინის გენიალური იდეები „ხორცშესხმულია ლენინის დიდი თანამებრძოლის, მისი საქმის ერთგული განმგრძობის ამხანაგ სტალინის შრომასა და მოღვაწეობაში“. („მოკლე ნარკვევი“, გვერდი 331).

ლენინის დაბადების 74 წლისთავს ჩვენი სამშობლო ხვდება გმირი წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში. ჰიტლერული გერმანია დამარცხებებს განიცდის და კატასტროფის წინაშე დგას. მაგრამ ლენინ-სტალინის პარტიის გმირულ ტრადიციებზე აღზრდილ საბჭოთა ხალხს, წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მუდამ ახსოვთ „ჩვენი მასწავლებლის ლენინის ანდერძი: „პირველი საქმეა არ გაგვიტაცოს გამარჯვებამ და არ ვიყოყოჩოთ, მეორე საქმეა განვამტკიცოთ გამარჯვება, მესამე — საბოლოოდ მოვსპოთ მოწინააღმდეგე“ (ი. სტალინი).

დიდი ლენინის მამაცური სახე აღფრთოვანებს საბჭოთა ხალხს ზურგში, წითელ არმიას ბრძოლაში ფრონტზე ახალ-ახალი საგმირო საქმეებისათვის, თავიანთი სოციალისტური სამშობლოს დიდებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

დიდი ლენინის საქმის გენიალური განმგრძობის ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის პირმშო გმირი წითელი არმია საბოლოოდ გაანადგურებს ვერაგ მტერს — ჰიტლერელ ოკუპანტებს. ჩვენი სამართლიანი საქმის ეს გამარჯვება იქნება ლენინიზმის ახალი ზეიმი.

ლენინის საქმე უძლეველია!

სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების მოსაგზდისათვის

ვინ რა ვალდებულება იკისრა

ზნაურის რაიონი

კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ლაგოდეხელთა თაოსნობა და იკისრეს რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 13,5 ცენტნერი სიმინდი, 11 ცენტნერი ხორბალი, მაქსიმალურად შეინარჩუნონ საქონლის ნამატი. ზნაურის გზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ რ. ფესტაევმა იკისრა ყოველ 100 დედა-ცხვარზე გამოზარდოს 95 სული ბატკანი, 100 ძროხაზე—85 ხბო, თითოეულ დედა-ღორზე—12 გოჯი.

ზნაურის რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სტალინირისა და ქარელის რაიონები.

ხულოს რაიონი

ხულოს რაიონის კოლმეურნეებმა მახარაძელთა მოწოდების პასუხად იკისრეს წელს სიმინდი დასთესონ 3.050 ჰექტარი, ლობიო—300, კარტოფილი—2.032, დარგონ 380 ჰექტარი თამბაქო, უზრუნველჰყონ ნათესების წესიერი მოვლა და თითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 13,5 ცენტნერი სიმინდი, 82 ცენტნერი კარტოფილი, 10 ცენტნერი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8,7 ცენტნერისა, მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა შეასრულონ 1 აგვისტოსათვის, 230 ჰექტარზე დასთესონ პირუტყვის საკვები მცენარეები, დაამზადონ 216.000 ცენტნერი უხეში საკვები. სასოფლო-სამეურნეო დამზადებათა წლიური გეგმა შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის.

თესვაში დაწინაურებულნი

ჩხარი („კომუნისტის“ საკ. კორ.). უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის ჩხარის რაიონი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ორჯონიკიძისა და მაიაკოვსკის რაიონებთან. კოლმეურნეობათა დიდი უმრავლესობა ნაკისრ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად ასრულებს. მაგალითად, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მერვე ბრიგადამ, რომელსაც კოლმეურნე ქალი ნინო რიჟამაძე ხელმძღვანელობს, იკისრა ხვნა-თესვის გეგმა 20 აპრილისათვის შეესრულებინა, ნამდვილად კი ეს სამუშაო დამთავრდა 29 მარტს. მოხუცი კოლმეურნე ტ. თურქაძე ყოველღიურად, ნაცვლად 1.000 მეტრისა, ხნავს 1.700-1.800 მეტრს, გ. სახეჩიძე — 1.600 მეტრს, ღრმად მოხუცი ფ. მაჩიტაძე—1.600 მეტრს, ნ. კურცხალია და რიჟამაძე—1.700 მეტრს თვითეული.

ასეთივე წარმატებით შრომობენ სოფელ თუზის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები ლ. და ა. მაჩიტაძეები, ლიზა და დუშიკო მაჩიტაძეები.

წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ელენე ყაზაიშვილს ხვნა-თესვის პერიოდში გამოუშავებული აქვს 50 შრომადღე, ფრონტელის დედას ნადია აბულაძეს—45, მერგოლურ ანგელინა აბულაძეს—50 შრომადღე. კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში ქომკავშირული რგოლი ო. სუთიძის ხელმძღვანელობით ხვნა-თესვის გეგმებს 180-200 პროცენტით ასრულებს.

დ. კაჭკაჭიშვილი

ხვნის ხარისხს მეტი ყურადღება

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეები წელს გეგმის გადამეტებით დათესავენ 170 ჰექტარ საგაზაფხულო კულტურებს, თვითეულ ჰექტარზე მიიღებენ 10 ცენტნერ სიმინდს და 7,5 ცენტნერ ხორბალს.

გაჩაღდა მუშაობა ვალდებულებათა შესასრულებლად. სოფელ წირქვალის კოლმეურნეობა „შრომაში“ წარმატებით მუშაობენ ლ. ჭიტაძის, დ. გურულის, ა. მეცხოვრიშვილის ბრიგადები. კოლმეურნე გ. ხვედელიძე თესვის ნორმას ყოველდღე ორმაგად ასრულებს, ასევე წარმატებით მუშაობენ კოლმეურნეები: ბ. მიროტაძე, გრ. გურული, ს. და დ. მეცხოვრიშვილები. მუყაოთი შრომით თავი ისახელა ფრონტელის შვილმა 16 წლის შალვა თამბაგარმა. იგი თესვის ნორმებს 150—170 პროცენტით ასრულებს.

ბეჯითად შრომობენ ავრეთვე სოფელ ბეჟანოვის, რკინალათის, ზოდის კოლმეურნეობებში.

მაგრამ ზოგან ნაკლები ყურადღება ექცევა ხვნის ხარისხს. წირქვალის კოლმეურნეობის კ. ბერეგაძის ბრიგადაში შ. მიროტაძე და არ. ნადირაძე ზოგჯერ ზერელედ ხნავენ და ხარვეზებსაც სტოვებენ. მსგავს შეგალითებს სხვა კოლმეურნეობებშიც ვხვდებით.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების ვალია არ დაუშვან აგროწესების დარღვევა, მიიღწიონ ნთესების სანიმუშოდ დამუშავებას და მოიყვანონ უხვი მოსავალი.

იალაღებისაკენ

წითელწყაროს („კომუნისტის“ საკ. კორ.). წელს 235.000-ზე მეტი სული ცხვარი გარეკილ იქნება საზაფხულო იალაღებზე. ამ საქმისათვის კარგად მოემზადნენ სოფელ ზემო ვაჩხანის, სტალინისა და ბერიას სახელობის კოლმეურნეობები, სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკი“, მირზაანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობა, სოფელ ჯაფარაძის კოლმეურნეობა „შრომა“, ზემოქედის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზით“. მათ ყველა ბრიგადა დააკომპლექტეს მწყემსებით, შეიძინეს ნაბდები და სხვა საჭირო საგნები, მწყემსების ოჯახები მოამზადეს შეშით.

ამ დღეებში საზაფხულო იალაღებზე ცხვრის გადაყვანის საკითხი განიხილა სოფლის მეურნეობის მუშაკთა რაიონულმა თათბირმა. მოხსენებით გამოვიდა რაიმოწყალის გამგე ამხ. ვ. მანგოშვილი. ამავე საკითხზე ილაპარაკა მშრომელთა დეპუტატების წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. მირიანაშვილმა.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ს. ხოშტარია, რომელმაც დასძრეთა ყურადღება გაამახვილა საზაფხულო საძოვრებზე ცხვრის გარეკვის ორგანიზებულად ჩატარების ამოცანებზე.

თათბირზე გამოირკვა, რომ სოფელ ზემოქედის ვორშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში და კოლმეურნეობა „შრომის იმედში“, აგრეთვე ქვემოქედის ცხაკაიის სახელობის კოლმეურნეობაში აგვიანებენ ცხვრის პარსვის დაწყებას. არ ატარებენ ვეტერინარულ-პრაფილაქტიკურ ღონისძიებებს, საჭირო რაოდენობით არ შეურჩევიათ მწყემსები, არ სწვენდენ საძოვრებს ქვეგისა და მავნე ბალახებისაგან. ზოგან საძოვრები გადახნეს.

ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და იალაღებზე ცხვრის ორგანიზებულად გარეკვისათვის თათბირმა დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

შ. მოლაშვილი

შაქრის ჭარხლის თესვა გადაჭარბებით შესრულდა

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა შაქრის ჭარხლის თესვა 20 აპრილისათვის დაამთავრეს. ნაცვლად 900 ჰექტარისა დათესილია 902 ჰექტარი.

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაკომის მდივანი გ. მიხანაშვილი
რაიალმასკომის თავმჯდომარე მ. ბუჯიაშვილი

გორის რაიონის აბალსოფლის მტს-ის ტრაქტორისტი ა. თვაური შაქრის ჭარხლის თესვის დღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. ფოტო რ. აკოფოვისა

კ. ნიკოლაევა

პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი

ინდივიდუალური და კოლექტიური მეგობსტნეობა 1944 წელს

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პირობებში მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური და კოლექტიური მეგობსტნეობის განვითარებას დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ინდივიდუალური და კოლექტიური ბოსტნებიდან მიღებული ბოსტნეული და კარტოფილი ჩვენი სსსრ-სათო რესურსების დამატებითს წყაროს, მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების კვებაში მნიშვნელოვან დახმარებას წარმოადგენენ.

შარშან ბოსტნები გაშენებული იყო 770 ათას ჰექტარზე. საშუალოდ თვითეულ ოჯახზე მიღებულ იქნა 470 კილოგრამი პროდუქტი, ხოლო მთელ რიგ კოლექტივებში უფრო მეტიც. ინდივიდუალური და კოლექტიური მეგობსტნეობის დიდ განვითარებას ეწმობს ის, რომ მეგობსტნეობას 11,6 მილიონი კაცი ეწეოდა.

მეგობსტნეობას დიდი დახმარება აღმოუჩინეს პროფკავშირთა ინიციატივით შექმნილმა მეგობსტნეობის კომისიებმა. ისინი ანაწილებდნენ მიწის ნაკვეთებს, იძენდნენ თესლს, სდებდნენ ხელშეკრულებებს ჩითილის გამოსაყვანად. ისინი ზრუნავდნენ ინვენტარის შესყიდვისა ან დამზადებისათვის, ამოწმებდნენ მიწის დამუშავების ხარისხს, თვალყურს ადევნებდნენ ნათესებს. ისინი ხელმძღვანელობდნენ მოსავლის დაცვას, აღებას და განაწილებას, ერთი სიტყვით, მთელი მუშაობის ორგანიზატორები იყვნენ.

შეიძლება ითქვას, რომ მეგობსტნეობას ისეთი უდიდესი მნიშვნელობა ირსად არა ჰქონია, როგორც ლენინგრადში. ბლოკადის ძნიმე პირობებში ლენინგრადის მუშებმა და მოსამსახურეებმა შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს. ამ ქალაქში გამოყენებული იყო ვარგისი მიწის თვითეული მეტრი. ბოსტნები მდებარეობდნენ თავდაცვის მოწინავე კიდის უშუალო სიახლოვეს და სასტიკად ზარალდებოდნენ ჰიტლერელ დამპყრობთა ბარბაროსული სროლისაგან. ნათესთა სულ მცირე 25 პროცენტი იქნა განადგურებული. და ლენინგრადელებმა მაინც აიღეს კარგი მოსავალი.

ახლა უკვე ბევრმა ისწავლა ბოსტნის გაშენება, ამ ორი წლის განმავლობაში მათ დიდი გამოცდილება შეიძინეს. მიმდინარე წელს ეს გამოცდილება ისე უნდა გამოიყენონ, რომ უფრო უკეთეს შედეგებს მივაღწიონ.

ამას წინათ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „1944 წელს მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური და კოლექტიური მეგობსტნეობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებებზე“. ამ დადგენილებაში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საოლქო და სამხარეო აღმასკომებისა და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების წინაშე დასახულია ამოცანა— „დახმარება აღმოუჩინონ პროფკავშირულ ორგანიზაციებს მუშა-მოსამსახურეთა, აგრეთვე ფრონტელთა ოჯახების კიდევ უფრო მეტად მიზიდვისათვის ინდივიდუალური და კოლექტიური ბოსტნების დამუშავებაში მონაწილეობის მისაღებად“.

ყველგან უნდა მივაღწიოთ ბოსტნების გაფაშენებლად სათესი ფართობების მნიშვნელოვან ზრდას. გავადიდოთ ისინი სულ მცირე 20 პროცენტით შარშანდელთან შედარებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეგობსტნეობის ფართოდ განვითარებას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ რაიონებში.

მუშა-მოსამსახურეთა ბოსტნებისათვის მიმდინარე წელს, როგორც შარშან, საწარმოებსა და დაწესებულებებს მიწის ნაკვეთები ეძლევათ ქალაქებისა და მუშათა დაბების თავისუფალი მიწების, სახელმწიფო მიწების ფონდისა და რკინიგზისა და გზატაკცილების გასხვისებულ ზოლთა თავისუფალი მიწების ხარჯზე. გარდა ამისა, კოლმეურნეობათა გამგეობებთან შეთანხმებით, საბოსტნედ შეიძლება გამოყოფილ იქნას კოლმეურნეობათა მიერ გამოუყენებელი მიწის ნაკვეთები.

კოლექტიური და ინდივიდუალური ბოსტნებისათვის მთავრობამ ნება დართო აგრეთვე გადაეცეს საწარმო-დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობების მიწები, რომლებიც მათ გამოეყოთ 1942-1943 წლებში ქალაქის ფარგლებში და ქალაქებისა და მუშათა დაბების მახლობლად. ქალაქების, მუშათა დაბებისა და სახელმწიფო ფონდის, თავისუფალი მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოყოფილია ბოსტნებისათვის, დაწყებული 1942 წლიდან, გადაეცემათ საწარმოებსა და დაწესებულებებს 5-7 წლით. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა გამგეობების მიწა, გამოყოფილი საბოსტნედ, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებთან და კოლმეურნეობათა გამგეობებთან შეთანხმებით მოსარგებლეთ გადაეცემათ 1944 წლისათვის.

საჭიროა გამოვიყენოთ ყველა ეს შესაძლებლობა, ვიზრუნოთ მიწის მისაცემად მათთვის, ვინც პირველად შეუდგება ბოსტნის ღამუშავებას, განსაკუთრებული ყურადღება გამოვიჩინოთ ფრონტელთა და სამამულო ომის ინვალიდთა ოჯახებისადმი. მათ უნდა გამოვუყოთ საუკეთესო მიწის ნაკვეთები, რომლებიც დასახლებული პუნქტის ახლოს მდებარეობენ, და აღმოვუჩინოთ სხვა დახმარებაც.

ბოსტნებიდან უხვი მოსავლის მიღებისათვის ზრუნვა უნდა იწყებოდეს გასული წლების მაგალითის მიხედვით აგროტექნიკური პროპაგანდით — სპეციალისტთა ლექციებითა და ბოხსენებებით, საუბრებითა და კონსულტაციებით, რადიოგადაცემებითა და სხვა ღონისძიებებით.

უხვი მოსავალი დამოკიდებულია თვით მებოსტნეთა გულმოდგინებაზე. საჭიროა დავაგროვოთ რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი სასუქი—ნაკელი, ნაცარი და სხვა, თავის დროზე გავიტანოთ იგი ნაკვეთზე. მივაღწიოთ მიწის კარგ დამუშავებას და ნათესების სანიმუშო მოვლას. აგრეთვე უნდა ვიზრუნოთ ბოსტნების მორწყვის ორგანიზაციის წესებსა და შესაძლებლობებზე. ეს საქმე რომ უყურადღებოდ დავტოვოთ, მთელი შრომა ამაო იქნება. ადგილობრივი საბჭოებისა და საწარმოების მუშათა მომრაგების განყოფილებათა დახმარებით უმოკლეს ვადაში უნდა დაიდოს ხელშეკრულება კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, დამხმარე მეურნეობებთან და სხვა ორგანიზაციებთან კომბოსტოს, პამიდორის და სხვა ბოსტნეულის, აგრეთვე პარკოსანი კულტურების ჩითილისა და თესლის გამოსაყვანად და იმ მუშებისა და მოსამსახურეთათვის მისაყიდად, რომელთაც ბოსტნები აქვთ.

მიმდინარე წელს ბუშებსა და გლეხებს მთავრობამ ნება დართო 1 აპრილიდან 1 იგნისამდე გადაზიდონ ოლქის შიდა რაიონებში სათესლე კარტოფილი ინდივიდუალურ და კოლექტიურ ბოსტნებში დასარგავად. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა ფართო მოხმარების სამეკრიებში საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე უნდა დამზადდეს ნიჩბები, თოხები, ფარცხები, ეიდრიები, სარწყავები და სხვა ინვენტარი. ამრიგად, თვითეულ მუშასა და მოსამსახურეს შეუძლია შეიძინოს დასარგავი მასალა და პროფკავშირული ორგანიზაციების საშუალებით მიაღწიოს საწარმოთა მიერ საჭირო ინვენტარის თავის დროზე დამზადებას.

ბოსტნებში საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის მზადებისას ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება ამ ბოსტნების დაცვის ორგანიზაციას. ყველაფერი, რაც დარგულია, მოყვანილ უნდა იქნას, თავის დროზე და მთლიანად უნდა იქნას აღებული და შენახული.

ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის წინაშე, მუშებისა და მოსამსახურეების წინაშე მნიშვნელოვანი ამოცანა დგას: გავზარდოთ მებოსტნეთა რიცხვი, გავადიდოთ სათესი ფართობები, მნიშვნელოვნად ავამაღლოთ კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება ახალი განძი იქნება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მალე განადგურების საქმეში.

სოციალისტური შეჯიბრება

ვინ რა ვალდებულება იკისრა

ზნაურის რაიონი

კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ლაგოდეხელთა თაოსნობა და იკისრეს რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 13,5 ცენტნერი სიმინდი, 11 ცენტნერი ხორბალი, მაქსიმალურად შეინარჩუნონ საქონლის ნამატი. ზნაურის გზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ რ. ფესტაევმა იკისრა ყოველ 100 დედა-ცხვარზე გამოზარდოს 95 სული ბატკანი, 100 ძროხაზე—85 ხბო, თითოეულ დედა-ღორზე—12 გოჯი.

ზნაურის რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სტალინირისა და ქარელის რაიონები.

ხულოს რაიონი

ხულოს რაიონის კოლმეურნეებმა მახარაძელთა მოწოდების პასუხად იკისრეს წელს სიმინდი დასთესონ 3.050 ჰექტარი, ლობიო—300, კარტოფილი—2.032, დარგონ 380 ჰექტარი თამბაქო, უზრუნველჰყონ ნათესების წესიერი მოვლა და თითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 13,5 ცენტნერი სიმინდი, 82 ცენტნერი კარტოფილი, 10 ცენტნერი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8,7 ცენტნერისა, მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა შეასრულონ 1 აგვისტოსათვის, 230 ჰექტარზე დასთესონ პირუტყვის საკვები მცენარეები, დაამზადონ 216.000 ცენტნერი უხეში საკვები. სასოფლო-სამეურნეო დამზადებათა წლიური გეგმა შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის.

თესვაში დაწინაურებულნი

ჩხარი („კომუნისტის“ საკ. კორ.). უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის ჩხარის რაიონი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ორჯონიკიძისა და მაიაკოვსკის რაიონებთან. კოლმეურნეობათა დიდი უმრავლესობა ნაკისრ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად ასრულებს. მაგალითად, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მერვე ბრიგადამ, რომელსაც კოლმეურნე ქალი ნინო რიჟამაძე ხელმძღვანელობს, იკისრა ხვნა-თესვის გეგმა 20 აპრილისათვის შეესრულებინა, ნამდვილად კი ეს სამუშაო დამთავრდა 29 მარტს. მოხუცი კოლმეურნე ტ. თურქაძე ყოველღიურად, ნაცვლად 1.000 მეტრისა, ხნავს 1.700-1.800 მეტრს, გ. სახეჩიძე — 1.600 მეტრს, ღრმად მოხუცი ფ. მაჩიტაძე—1.600 მეტრს, ნ. კურცხალია და რიჟამაძე—1.700 მეტრს თვითეული.

ასეთივე წარმატებით შრომობენ სოფელ თუზის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები ლ. და ა. მაჩიტაძეები, ლიზა და დუშიკო მაჩიტაძეები.

წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ელენე ყაზაიშვილს ხვნა-თესვის პერიოდში გამოუშავებული აქვს 50 შრომადღე, ფრონტელის დედას ნადია აბულაძეს—45, მერგოლურ ანგელინა აბულაძეს—50 შრომადღე. კაგანოვიჩის სახელობის კოლმ